26/11/2020

სერბეთის პატრიარქობის სავარაუდო კანდიდატები

სერბეთის საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი

დაიბადა 1952 წელს. დაასრულა თესალონიკის არისტოტელეს სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბელგრადის სასულიერო აკადემია. იგი არის თეოლოგიის დოქტორი. ეპისკოპოსი არის 1991 წლიდან. ფლობს ბერძნულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

ეპისკოპოსი ირინეოსი

დაიბადა 1947 წელს. დაასრულა ათენის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი არის თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი. ეპისკოპოსი არის 1989 წლიდან. მონაწილეობა აქვს მიღებული კრეტის დიდ და წმიდა კრებაზე და რვაგზის წარმოადგენდა სერბეთის ეკლესიას ვატიკანში ოფიციალური ვიზიტებისას. ფლობს ბერძნულ, ლათინურ და რუსულ ენებს. ამ ჩამონათვალში წარმოდგენილ მღვდელმთავართა შორის, ის სამღვდელმთავრო ქიროტონიით ყველაზე უხუცესია.

ეპისკოპოსი ეგნატე

დაიბადა 1954 წელს. დაასრულა ათენის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი არის თეოლოგიის დოქტორი და ფილოსოფიის დოქტორი, ლიტერატორი, ხელოვნებათმცოდნე. ეპისკოპოსი არის 1994 წლიდან. მონაწილეობა აქვს მიღებული კრეტის დიდი და წმიდა კრების მოსამზადებელ ყველა აქტივობაში. არის ოცდაცხრამეტი თეოლოგიური კვლევისა და ნაშრომის ავტორი. ფლობს ბერძნულ, გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

ეპისკოპოსი პორფირე

დაიბადა 1961 წელს. დაასრულა ათენის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი არის თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი. ეპისკოპოსი არის 1999 წლიდან. ფლობს ბერძნულ და რუსულ ენებს.

— wenews.ge